პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 26 ნოემბერი № 276 (17016) ფასი 2 კაპ. 1977

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სანიმუშოდ განვახორციელოთ მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი კამპანია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1977-78 წელს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად და მისი წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან ერთად დიდ მუშაობას უწევენ მეცხოველეობის განვითარების პროგრამის შესასრულებლად, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა მიიღო და 1977 წლის V პლენუმმა განავითარა. მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და კონსტიტუციის მიღების პერიოდში.

რესპუბლიკის ფერმების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ და ფართოდ დაუჭირეს მხარი კიევის ოლქის მეცხოველეთა იმ ინიციატივას, რომ ვადამდე შესასრულონ 1977 წლის ვალდებულება და გაზარდეს მათი სულადობა, გაადიდეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვა.

ამჟამად, მოსავლის აღების დამთავრებასთან ერთად, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა იყენებს საკვების დამატებით დაგროვების ყველა არსებულ შესაძლებლობას, ქმნის გარდამავალ სადაზღვევო მარაგს, ახორციელებს მეცხოველეობის ობიექტების მშენებლობის დროზე დამთავრებისა და ამოქმედების, ფერმებისა და საკვების საამქროების მექანიზაციის ღონისძიებებს.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების დროს კარგ შედეგებს მიაღწიეს მცხეთის რაიონის მეცხოველეებმა, რომლებმაც 20 ცენტნერზე მეტი საკვები ერთეული დააგროვეს ყოველი პირობითი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. მათ წამოაყენეს მოწოდება „პირუტყვის გამოზამთრება საყოველთაო-სახალხო საქმეა!“ და მეცხოველეობის ამ პასუხსაგები კამპანიის სანიმუშოდ განხორციელებისათვის რესპუბლიკური შეჯიბრების ინიციატორები არიან. მარნეულის, გურჯაანის, გორის, წითელწყაროს, ხაშურის რაიონების მეურნეობებმა უკვე ოქტომბრის დამლევისათვის 16 ცენტნერზე მეტი საკვები ერთეული დაამზადეს ერთი პირობითი სულისათვის და ამით უზრუნველყვეს პირუტყვის მაძღარი გამოზამთრება.

შესამჩნევად გაძლიერდა მუშაობა საკვების საამქროების, საკვებსამზარეულოების მშენებლობისათვის, საკვებმოსამზადებელი მექანიზმების დამონტაჟებისათვის. ბევრ რაიონში მთავრდება მეცხოველეობის სადგომების რემონტი და დეზინფექცია. მომავალი გამოზამთრებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აშენდა მეცხოველეობის ფერმები 11.400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, საღორეები — 1.500 ნეზვისათვის და ფარეხები — 14 ათასი სულისათვის. ფერმებში ამაღლდა მექანიზაციის დონე, გაუმჯობესდა იქ მისასვლელი გზების მდგომარეობა და მეცხოველეობის ობიექტების ვეტერინარულ-სანიტარიული პირობები.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა როდი ანიჭებს ჯეროვან მნიშვნელობას პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზაციას — ამ ყველაზე გადაუდებელ ამოცანასა და ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების, ამ პროდუქტებით რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ყველგან როდი იყენებენ წლევანდელ ხელსაყრელ პირობებს საკვების წლინახევრის მარაგის შესაქმნელად.

მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელები აჰყვნენ ცუდ მრჩევლებს, რომლებიც ჯეროვნად არ აფასებენ, თუ რა პროგრესული მნიშვნელობა აქვს საფურაგე მარცვლეულის გადაცვლას კომბინირებულ საკვებზე საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მიერ მინეულებული შეღავათების გამოყენებით, და ამის შედეგად შარშან ჩაშალეს ამ პატრიოტის მოცულობათა დავალების შესრულება.

ასეთი შეუფასებლობა ახასიათებს აგრეთვე ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების დამოკიდებულებას საკვებწარმოებაში, საკვების დამზადებასა და პირუტყვის კვებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისადმი. მაგალითად, ადგილებზე ჯერ კიდევ არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება კარბამიდის, ბრეშენ-ლების, მინერალური და ვიტამინიანი დანამატების გამოყენებას, პირუტყვის კვების სქემა-ესკის ჯგუფების შესაბამისი ულუფებით და ა. შ.

ვერა და ვერ გაუმჯობესდა ბევრი ფერმის ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობა, რაც მწვავე და ქრონიკულ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების ძირითადი მიზეზია. ბევრი ფერმა ჯერ კიდევ არ არის შეღებილი, არა აქვთ სალეზინფექციო ბარიერები, სამზვებლო განყოფილებები და პროფილაქტორიუმები, ცხელი და ცივი წყლით უზრუნველყოფილი სანიტარიულ-სამყოფი ბლოკები. მთელი რიგი რაიონები სიძნელეებს განიცდიან სადგომების შესაკეთებლად საჭირო საშენი მასალებით უზრუნველყოფაში.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების დროს ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელებს მხედველობიდან რჩებათ, რომ საჭიროა კადრებთან მუშაობა, ფერმების დაკომპლექტება სპეციალისტებისა და მასობრივ პროფესიათა მუშაკების კვალიფიციური კადრებით, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ კომუნისტები ყველაზე დიდნინშენელოვან უბნებში გაანწილონ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ 1977-78 წელს პირუტყვის წარმატებულ გამოზამთრებას როგორც მეათე ხუთწლედის მესამე წელს მეცხოველეობის განვითარებაში ახალ წარმატებათა მიღწევის საფუძველს, და მიიჩნიათ, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, რაიონული (საქალაქო) კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების), სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ და მათი ადგილობრივი ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეოთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უფრო მეტად შესრულება.

ამ მიზნით მათ დაევალათ:

— განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა სწრაფად დამთავრდეს უხეში საკვების დამზადება, პირუტყვის გამოზამთრების ადგილებში მიტანა და დაზვინვა, სილოსის ჩადება, აგრეთვე საკვების დაგროვების მთელი რესურსების გამოყენება, ამასთან გაითვალისწინონ ჭარხლის ფოჩის, ჩაის ბუჩქების ნასხლავის, მებოსტნეობის ნარჩენების, სიმინდის ღეროების, მზესუმზრის კალათების, ჭაჭისა და სხვა მცენარეული ნარჩენების დამზადება;

— 1977 წლის 1 დეკემბრამდე აგროქიმიურ და სავეტერინარო ლაბორატორიათა ძალებით გაანალიზონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამზადებული საკვების ხარისხი და კვლევის შედეგების მიხედვით განახორციელონ ცხოველთა ულუფებში ყუთათან ნივთიერებათა დეფიციტის შევსების ღონისძიებანი.

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მეცხოველეობის ფერმების აღჭურვას პირუტყვისათვის მისაცემად საკვების წინასწარი შემზადების მოწყობილობით, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული კილოგრამი საკვები პირუტყვს ეძლეოდეს მხოლოდ მომზადებული სახით, მკაცრი კონტროლი დაუწესონ საკვების ხარჯვას;

—მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ ფერმების ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობა, უზრუნველყონ მათი შეღებვა, სადეზინფექციო ბარიერების მოწყობა, სავეტერინარო-სანიტარიული ბლოკების აღჭურვა და საჭირო ჰიგიენური პირობები შეუქმნან მომსახურე პერსონალს;

— მკვეთრად გაუმჯობესონ ზოოტექნიკური აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობა ფერმებში, ზუსტად დაიცვან რძის ხარისხის მოთხოვნები;

— დიდი ყურადღება დაუთმონ სპეციალისტთა და ფერმების მუშაკთა კადრების სწორ შერჩევასა და განაწილებას, გაგზავნონ კომუნისტები და კომკავშირელები მეცხოველეობის ყველაზე პასუხსაგებ უბნებში, შეუქმნან მათ მუშაობისა და დასვენების საუკეთესო პირობები;

— უზრუნველყონ ხადგამი ჯოგის რაციონალური გამოყენება და მომშენებისათვის ვარგისი მთელი პირუტყვის შენარჩუნება; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა 1978 წლის პირველ ნახევარში მიიღონ მაქსიმალური რაოდენობის ხბო, გოჭი, ბატკანი და წიწილა, უზრუნველყონ პირუტყვის ინტენსიური გამოზრდა და საკლავის მაღალი წონითი კონდიციები.

— გამოზამთრების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდისათვის, საკვების უმცირესი დანახარჯებით ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა შეჯიბრების ორგანიზაციის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს, რომ რესპუბლიკაში შემოტანილ იქნეს და რაიონებში განაწილდეს 1977 წლისათვის დამატებით გამოყოფილი 300 ტონა კალცინირებული სოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონეს მცხეთის რაიონის მეცხოველეთა და საშეფო ორგანიზაციათა ინიციატივა, რომ მაღალორგანიზებულად გამოაზამთრონ სასოფლო-სამეურნეო პირუტყვი დეკემბრამდე: „პირუტყვის გამოზამთრება საყოველთაო-სახალხო საქმეა!“.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო ორგანიზაციების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოების, სამეცნიერო დაწესებულებების პარტიულ კომიტეტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მხარი დაუჭირონ მცხეთის რაიონის მშრომელთა თაოსნობას, გაღარმაონ და გაამჯართონონ მუშაობა, რათა კოლეტივის თითოეული წევრი ჩაბან მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოების გადიდების საყოველთაო-სახალხო საქმეში; შეიმუშაონ და განახორციელონ იმის კონკრეტული პროგრამა, რომ შეფობა გაუწიონ მეცხოველეობის ფერმებს, კომპლექსსა და მეფრინველეობის ფაბრიკებს, დაეხმარონ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობასა და შეკეთებაში, საკვების საამქროებისა და საკვებსამზარეულოების მოწყობაში, ფერმების მექანიზაციაში.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა 1977-78 წლის პირუტყვის გამოზამთრების პერიოდში უნდა უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებს მიეყოდოთ ზედმეტი და საწარმოებში და მშენებლობებზე გამოუყენებელი მასალები, სათადარიგო ნაწილები, სატრანსპორტო საშუალებანი, ინსტრუმენტები, ჩარხები და მეცხოველეობის მექანიზაციისა და საკვებწარმოებისათვის საჭირო სხვა მოწყობილობა.

პირუტყვის სადგომების რემონტის წარმატებით დამთავრებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დამატებით გამოეყო საშენი მასალები.

საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას დაევალა უზრუნველყოს, რომ 1977 წლის 1 დეკემბრამდე სრულად მიაწოდონ სოფლის მეურნეობას წლიური ფონდების მიხედვით კალორიფერები, ვენტილატორები, გასათბობი აგრეგატები, ჩქარონსული წყალშემთბობები, მილსადენი სამრეწველო არმატურა, საკვალები და კაბელის ნაწარმი, რომლებიც საჭიროა მეცხოველეობის კომპლექსებისა და ფერმების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ, უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ იმ მეცხოველეობის სადგომებისა და საკვების საამქროების ვადამდე ამოქმედება, რომელთა საექსპლოატაციოდ გადაცემა 1977 წელს არის გათვალისწინებული, და დაამთავრონ მეცხოველეობის ყველა ობიექტის რემონტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, წინადადება ეძლევა გააფართოოს საკვების საამქროების, მეცხოველეობის ფერმების მანქანებისა და მოწყობილობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეოთაშორისო გაერთიანებების საკვებგადამუშავებელი აგრეგატებისა და სხვა ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სამუშაოები და უზრუნველყოს, რომ ისინი მუდამ გამზადებული იყვნენ სამუშაოდ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა ყველა რაიონში შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ მეურნეობები საფურაგე მარცვლეულის კომბინირებულ საკვებზე გადაცვლის დავალებებს, რომელიც მთელ რესპუბლიკაში 60 ათასი ტონის მოცულობით არის დაწესებული, და 1977 წლის 15 დეკემბრამდე მოახსენონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემოწმების შედეგები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და უწყებებმა, რომლებსაც მეცხოველეობის ფერმები და კომპლექსები აქვთ, კოლეგიათა სხდომებზე მაღალი პარტიული მომთხოვნელობითა და პრინციპულობით უნდა განიხილონ, თუ როგორია გამოზამთრებისათვის მზადყოფნის მდგომარეობა მიმდინარე წლის 19-20 ნოემბერს გამართული მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების მიხედვით, და მკაცრი ღონისძიებანი მიიღონ იმ მეურნეობათა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც ჯეროვან დონეზე ვერ განახორციელეს ეს დიდმნიშვნელოვანი კამპანია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1978 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტში უნდა გითვალისწინონ, რომ გამოუყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 10 სატვირთო ავტომობილი, 5 ავტომობილი „მოსკვიჩი“, 5 უაზ-4698 ავტომობილი და 5 ავტობუსი იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების პრემირებისათვის, რომლებიც ზამრის პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებაში და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ ფართოდ გაამუქონ პირუტყვის გამოზამთრების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, მკაფიოდ და განსაგებად განმარტონ ფერმების საუკეთესო კოლექტივების, ბრიგადების, ცალკეული მოწინავეების გამოცდილება, რომლებიც ადიდებენ მეცხოველეობის პროდუქტიულობას წლის ყველა დროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციები ახალ ნაბიჯს გადადგამენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე, ყოველ ღონეს იხმარენ პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მნიშვნელოვანი გადიდების საერთო-სახალო ამოცანის შესრულებაში. (საინფორმი).

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ წარმოების მოწინავენი და ნოვატორები. სურათზე კონფერენციის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან): საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი დ. მოსესოვი, წარჩინებული ჭიათურელი მაღაროელი, ორდენოსანი ბ. ბაძრაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ლომაძე, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. კუტუბანიძე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საიუბილეო ნელს — დამკვრელური ფორმით!

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის

რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

25 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

კონფერენციის მიზანია განაზოგადოს მოწინავე გამოცდილება და შეიმუშაოს სკკპ XXV ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შედგომი სრულყოფის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ახალ სახეობათა ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოება და წარმოების გადიდება, უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდება მისი გამოშვების საერთო მოცულობაში, პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების ფართო დანერგვა.

კონფერენციაა მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის სახსტანდარტმა, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ.

კონფერენციაზე მოწვეული არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, წარმოების მოწინავეები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები, რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატები, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან **პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბიეშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ბ. გელდიაშვილი, ე. მ. ჯაფარიძე.**

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ვ. ბოიცოვი,** სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **ვ. პ. ლაპშინი,** სსრ კავშირის სახსტანდარტის კოლეგიის წევრი **ვ. ნ. შახურინი,** სსრ კავშირის სახსტანდარტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სხვა მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა.**

სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარემ **ვ. ვ. ბოიცოვმა** გააკეთა მოხსენება „სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სახელმწიფო სისტემა წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია“.

პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტაში მშრომელთა ინიციატივის განვითარებისათვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება გაუზიარა კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **გ. დ. გაბუნიამ.**

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი ინჟინრის **თ. ლ. გენძეხაძისა** — პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვისა და წარმოების ტექნოლოგიური მომზადებისათვის საწარმოს კოლექტივის მუშაობის გამოცდილების შესახებ; თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ბ. ნ. კურტანიძისა** — „ხუთწლედის ხარისხს — მუშური გარანტია“; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის **დ. ლ. ქართველიშვილისა** — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება — მეათე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად თბილისის დამბრეკის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ილაპარაკა **პარტკომის** მდივანმა **გ. შ. ჯიქიძემ.**

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროს მთავარი ტექნიკური სამმართველოს უფროსმა, სამინისტროს კოლეგიის წევრმა **ვ. პ. ლაპშინმა** თავისი მოხსენება მოიძღვნა სამინისტროს საწარმოებში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა დასანერგად მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

მოხსენება „პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის გაგლენა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პერსპექტივებზე“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **შ. დ. კიკნაძემ.**

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მასტიმულირებელ ფასთა შემუშავების თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკის შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. ხ. ციმაკურიძემ.** მოხსენება თემაზე „პროდუქციის ხარისხის მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფა“ გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა **ლ. გ. თალაკვაძემ.**

ამავე დღეს კონფერენციის მონაწილენი ეწვივნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ პავილიონს, რომლის ექსპონატები გვიამბობენ, თუ როგორ ინერგება პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები რესპუბლიკის საწარმოებში.

კონფერენციის მონაწილეებთან ერთად გამოფენა დაათვალიერეს **პ. გ. გილაშვილმა, შ. დ. კიკნაძემ, გ. ვ. კოლბინმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ვ. მ. სირაძემ, ე. ა. შევარდნაძემ, ო. ე. ჩერქეზიამ,** სსრ კავშირის სახსტანდარტის თავმჯდომარემ **ვ. ვ. ბოიცოვმა** სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა **ვ. პ. ლაპშინმა,** სსრ კავშირის სახსტანდარტის კოლეგიის წევრმა **ვ. ნ. შახურინმა.**

კონფერენცია მუშაობას განაგრძობს.

(საინფორმი).

25 ნოემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების შედგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელსაც მკითხველი „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გაეცნო.

რუბრიკით **„პარტიული ცხოვრება: აღზრდას — კომპლექსური მიდგომა“** გამოქვეყნებულია სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის მდივნის **გ. ტესლიას** სტატია **„საამედო გვარი“.**

თანამედროვე ქალაქმშენებლობის აქტუალურ პრობლემებს ეხება **„პრავდის“** სპეციკორეს-პონდენტის **ვ. პარფენოვის** სტატია **„ადამიანი, ქარხანა, ქალაქი“. (სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა სტრეიქინის მიღმა).**

გამოჩენილი ბოტანიკოსის, გენეტიკოსისა და სელექციონერის, თვალსაჩინო გეოგრაფისა და მოგზაურის აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვის დაბადების 90-ე წლისთავს ეძღვნება ავტორთა კოლექტივის წერილი **„ვავილოვის გაკვეთილები“.**

მკითხველი უთუოდ დაინტერესდება პუბლიცისტ **გრ. ოგანოვის** ვრცელი სტატიით, რომლის სათაურია **„შემოქმედების თავისუფლება: „მითები და რეალობა“.**

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალ წნევათა ფიზიკის ინსტიტუტში დამთავრდა უმძლავრესი ერთციალინდრიანი წნეხის გამოცდის პროგრამა. წნეხს შეუძლია შუა კამერაში შექმნას მილიონობით ატმოსფეროს წნევა („დიდი წნეხი ჩაირთო“).

თბილისში საგარეუბნო მატარებლებისთვის გაიხსნა ახალი სამგზავრო ბაქანი, რომელიც თანამედროვე ფორმითა და ორიგინალური ფერადოვნებით გაფორმებით გამოირჩევა, წერს გაზეთი და აქვეყნებს **ხ. ედიშერაშვილის** მიერ გადაღებულ ბაქნის ფოტოსურათს.

ორმოცდაათი წლის წინათ სამთო ინჟინერმა ი. რეინგალდმა პირველმა დაიწყო ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულ საარემაზე პატარა კაალის ტბის შესწავლა. მან აღმოაჩინა მეტეორიტული რკინა და ამიერგად შეძლო დაემტკიცებინა ტბის წარმოშობის ხასიათი. მაგრამ დღემდე ტბა მკვლევარებს სულ ახალ საიდუმლოებათა წიგნად აყენებს, რომელთა შესახებაც ლაპარაკია **დ. კლენსკის** კორესპონდენციაში **„ტბა ამოუცნობი რჩება“.**

რუბრიკით **„საერთაშორისო ინფორმაცია“** დაბეჭდილია პროფესორ **ა. დავიდსონის** სტატია **„პპარტეიდის კრიზისი“, „პრავდის“** კანდელი კორესპონდენტის **ნ. ბრაგინის** წერილი **„პოლიციის კონტროლქვეშ“** და სხვა მასალა.

ПРАВДА

მის აღმატებულებას ბატონ ნილამ სანჯივა რედის, ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

მის აღმატებულებას ბატონ მორარჯი დესაის, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

მეგობარი ინდოელი ხალხისათვის თავს დამტყდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ინდოეთის აღმოსავლეთ რაიონებსა და დიდძალი ხალხი იმსხვერპლა, გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა და მოუსამძიმროთ ჩვენი სახელით დაღუპულთა ოჯახებს.

ლ. ბრეჟნევი ა. კოსიგინი

მიფრინავს „კოსმოს-963“

1977 წლის 24 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-963“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმა

საბჭოთა და იტალიელი პარლამენტარების დასკვნითი შეხვედრა

23 ნოემბერს კრემლში დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების წევრებისა და იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრების შეხვედრა.

დისკუსიის მსვლელობაში, რომელიც მეგობრულ კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის დეპუტატებმა შეადარეს თავიანთი შეხედულებები სსრ კავშირსა და იტალიის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე. შეხვედრის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო გამოცდებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის საკითხები.

შეიჯამა რა შეხვედრის შედეგები, ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ შეხვედრამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში მიღწეული პოლიტიკური დაძაბულობის შენელება ნაყოფიერ პირობებს ქმნის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

მით უფრო მნიშვნელოვანია ამჟამად კონკრეტული მოქმედების გააქტიურება დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ბელგრადის შეხვედრის კონსტრუქციული დამთავრება, რომელშიც უნდა დასასრულს ადგეს ევროპის თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივები, ფრეიმიც ბერლინ-ვენის ურთიერთობებისა და უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე. შეხვედრის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო გამოცდების შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირ-იტალიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის საკითხები.

ორივე მხარე ერთგულია ევროპაში ომისშემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ტერიტორიული სინამდვილეებისადმი, ეს ეხება ორივე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთიანობას, ეროვნულ-ეთნიკურ ერთიანობას, ეროვნულ-ეთნიკურ ერთიანობას, ეროვნულ-ეთნიკურ

საქართველოს სსრ
სახალხო კონტროლის კომიტეტში

ფასების კონტროლი!

№ 130

საჯაროობა მთავარი თემაა

ვამოწმებთ შესრულებას

ტყიბულის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მიერ საზოგადოებრივი ზემოქმედების და აპარატობის საშუალებათა გამოყენების შესახებ კომუნისტის ტყიბულის ... ...

საქართველოს
რაიონებში
თელავი
ბეჭდავს საქინფორმი

სპეციალური პროფესორი

რამდენიმე დღეს მშობლიურ რაიონში სტუმრად იმყოფებოდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ირაკლი ჯორჯაძე.

ხალიტიო სტუმარს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით იგი ერთსულოვნად იქნა არჩეული ინსტიტუტის საპატიო პროფესორად.

რაიონული გაზეთის ჟრიზზე

საბჭორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ მეცხოველეობის ფერმამ ოქტომბერში პირველი ადგილი მოიპოვა რაიონში როგორც წველადობის, ისე რძის ხარისხის მიხედვით. თითოეულ ძროხაზე ერთ თვეში მიიღეს 197 კილოგრამი რძე, მოლიანად კი 36 ათასი კილოგრამი რძე, რომლის 85 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ამ მაჩვენებლებით მწველავებმა დაიმსახურეს რაიონული გაზეთის „ალაზნის განთიადის“ პრიზი, რომელიც მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ. აღნიშნული პრიზი რედაქციის კოლექტივმა წელს დაარსა და იგი გადაეცემა მოწინავე ფერმას თვის შედეგების მიხედვით. წინა თვეებში მას ფლობდნენ ფინანდლელი, ნაფარეულელი, შალაურელი მეცხოველეები.

ეკონომია 40.500-მდე მანეთი

თელავის სამკერვალო ფაბრიკაში შეაჯამეს რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგები.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად საწარმომ დაზოგა 40.500 მანეთი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფაბრიკის მოგება.

განსაკუთრებით საყურადღებოა ფაბრიკის მექანიკოსის ბ. მარგალიტაშვილისა და მექანიკოს ბ. ბაღანაშვილის წინადადება. მათ შექმნეს და წარმოებაში დანერგეს პოლიეთილენის პაკეტების დასაწებებელი მოწყობილობა, რაც 11.600 მანეთზე მეტ წლიურ ეკონომიას იძლევა. მათივ დაამზადეს იარლიყის ახალი ტიპის საბეჭდი მანქანა, რომელიც ასევე მნიშვნელოვან თანხას ზოგავს.

მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ტექნოლოგების ა. ბიბოიძის, მ. აბელედიანის, ხაამჭრის ეფროსის ც. ჭუკაძის, მექანიკოს ლაზარიაშვილისა და სხვა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა.

შრომის მაღალი შეფასება

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი წვლილისა-ვის მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ჩის საექიმო პუნქტის გამგეს ე. ჭრაანაძეს მიენიჭა „სპატარი ნიშნ“ ორდენი, რომელიც მას ამ დღეში საზეიმო ვითარებაში გადაეცა. 40 წლის წინათ თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა ე. ბურჯანაძე სოფელ სამანის პუნქტში. შრომებმა იმთავითვე შეიყვარეს ახალგაზრდა სპეციალისტი.

ახალგაზრდა ექიმი დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ორნგზე წავიდა, იქ ხუთი ორდენი ბერი დაიმსახურა.

ომამრჯვების შემდეგ ე. ბურჯანაძე ავ ობრაში დაბრუნდა და მიუხედ ად ხანდაზმულობისა, დღესაც აქ აობს. (საქინფორმი).

დღეს დედაქალაქში

შემოდგომის ეტიუდები

თბილი შემოდგომის დღეებია თბილისში და მაინც უკვე იგრძნობა ზამთრის სუნთქვა. ქარვისფრად შეიმოსა ქალაქის პარკები და ქუჩები, ყვითელი ფოთლებით მოიფინა ხეივნები. დარიანი დღეებით გახარებულებმა შემოდგომის ეტიუდების ჩასახატავად მიაშურეს თბილისის ბოტანიკურ ბაღს ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებმა ნანა თოლომაშვილმა, თემურ ჩხუტიშვილმა და ქეთინო ქევხიშვილმა (ზემო სურათი); ასე გამოიყურება თბილისის ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი ხეივანი.

ს. პილაკის ფოტო.

წიგნის თაროზე

წინაპრების ანდერძი

ქართველმა ქალებმა ოქროს ფურცლები ჩაწერეს საქართველოს გმირულ ისტორიაში. ისინი ყოველთვის იყვნენ ზნეობრივი სისპეტაკის, ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისებების მაჩვენებელნი. ქალი კაცს მუდამ მხარში ედგა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, კაცთან ერთად იმაღლებდა ხმას სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

გმირ ქართველ ქალებს ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის დავით ქორიძის ნაშრომი „ქართველი ქალები“, რომელიც „განათლებამ“ გამოსცა.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას საგანგებოდ, გულდასმით შეუსწავლია ძველი ქართული მწერლობა, ფოლკლორი, საარქივო მასალები.

სახელოვანი ქართველი ქალების, ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობის სახელებს მკითხველი პირველად არ ეცნობა, მაგრამ დ. ქორიძემ თავი მოუყარა მათი საგმირო საქმეების ამსახველ მასალებს და ერთ წიგნად აკინძა. ავტორი ცოცხლად და მიმზიდველად, კარგი ქართულით გვესაუბრება ქართველი დედებისა და დების მამულის საკეთილდღეო მოღვაწეობაზე, იმაზე, რომ მათს ბუნებაში შერწყმული გახლდათ ქალური სინაზე, კდემამოსილება და ვაჟკაცური გამბედაობა და სიმტკიცე, რაც საჭირო იყო გარეშე მტრებისა და შინაგანი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. წიგნში კარგად ჩანს წარსული ქართველი ქალების ცხოვრების ბედუკუღმართობა.

ნაშრომში გაშუქებულია, თუ რა ადგილი უჭირავს ქალს ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში, საინტერესოდ არის აღწერილი ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქალების მწარე ხვედრი.

ვრცელი და ღრმამეცნიერული გამოკვლევაა საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე — ძველ ქართველ ქალთა ცხოვრებასა და ღვაწლზე ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. ეს კიდევ უფრო ზრდის ინტერესს სარეცენზიო წიგნის — ამ პოპულარულ-მეშოხილვითი ნაშრომის მიმართ.

წიგნში ზოგიერთი ისეთი ქალის ცხოვრებაა შეტანილი, რომლის ღვაწლი და მეირობა ნათლად არ ჩანს და არ არის ფაქტებით დასაბუთებული. ის ნაკლიც შეიმჩნევა, რომ ავტორი ზოგჯერ სხვის მასალებს უფრო ერცლად გვაწვდის, ვიდრე საკუთარ აზრს, დასკვნას.

მაგრამ ნაკლი მცირეა და ვერ ჩრდილავს ნაშრომის დიდ ღირებულებას. მკითხველმა უთუოდ კარგი საჩუქარი მიიღო. დ. ქორიძის წიგნი ქართველი ქალის შეფრცხვენელი და წმიდა მანდილის დიდებაა, რომელიც ავტორმა ჩვენს წინაპარ დედებს, მეუღლეებსა და დებს მიუძღვნა.

ვ. წერეთელი.

გამარჯვებული ტანკერი

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების ჯიბეაჯებმა საიუბილეო წლის ვახტზე მრავალი გამარჯვება მოიპოვეს. განსაკუთრებით აღმოვლინდა იშრომეს მესამე კვარტალში.

შეჯამდა მესამე კვარტალის შედეგები. როგორც მოსკოვიდან სანაოსნოს აცნობეს, საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მადანშიდმა „ნიკო ნიკოლაძემ“, რისთვისაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი ვიმპელი და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელი და მეორე ფულადი პრემია მიეკუთვნა საქართველოს სანაოსნოს ტანკერ „ალექსეევკას“.

მეცნიერი — მუშობლიურ სოფელს

ჭიათურა. (საქინფორმის კორ.). ქალაქ ჭიათურის ზონის მთის პატარა სოფელმა ცხრუკვეთმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქვეყანას მისცა 200-ზე მეტი პროფესორი, დოცენტი, ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და უმაღლესი განათლების მქონე სხვა სპეციალისტი. მათ შორის არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს ი. ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ფილიალის გამგე ა. ბიწაძე. იგი დაიბადა და გაიზარდა ცხრუკვეთში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მეცნიერი არ ივიწყებს თავის მშობლიურ მხარეს და ცოდნის უძველეს კერას — სოფლის მასობრივ ბიბლიოთეკას, რომლის მკითხველიც თვითონ იყო სკოლაში სწავლის დროს. ამ დღეებში მან ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოუგზავნა ინსტიტუტის ფილიალის ნაშრომთა გამოცემები, აგრეთვე ქართული, რუსი და უკრაინელი მწერლების კრებულები.

„ტიგროსი“ გზას გაუდგა

ბაღდადი. ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი და მკვლევარი ტურ ჰეიერდალი გაემგზავრა ახალ საზღვაო ოდისეაში — ამჯერად ღერწმის ნავით, რომელსაც „ტიგროსი“ ჰქვია.

23 ნოემბერს 13 საათსა და 5 წუთზე მოსკოვის დროით ოქროსფერი ხომალდი, ძველი შუმერული გემების ხუსტი ასლი, გავიდა ელ-ქურნეიდან, იქ ადგილიდან, სადაც ერთმანეთს ერთვის მდინარეები ტიგროსი და ევფრატი. აქედან იგი გაეა ინდოეთის ოკეანეში.

ნორვეგიელი მეცნიერის აზრით, შუამდინარეთში არსებული უძველესი ცივილიზაცია მნიშვნელოვან კულტურულ გავლენას ახდენდა სხვა ხალხებზე.

იგი აპირებს დაამტკიცოს თავისი ჰიპოთეზა, რომ ცივილიზაცია ვრცელდებოდა არა მარტო ხმელეთით, არამედ უმთავრესად ზღვითაც.

„ტიგროსის“ სიგრძე 18 მეტრია, სიგანე — 6 მეტრი. საშენ მასალად ტ. ჰეიერდალმა ღერწმი აირჩია, რომელსაც, მისი აზრით, თავიანთი გეგმებისთვის იყენებდნენ მესოპოტამიის ძველი მკვიდრნი. მაღალი მთის ტიტიკაკის ტბის პირას მცხოვრებმა ხუთმა ბოლივიელმა ინდიელმა, რომლებიც ასეთი ხომალდების საუკეთესო მშენებლებად ითვლებიან, და ათმა ერაყელმა არაბმა, რომლებმაც ჩინებულად იციან ღერწმის თვისებები, რამდენიმე თვის განმავლობაში ააგეს „ტიგროსი“. გემბანზე ორი პატარა ქოხი დგას ეკიპაჟისათვის, აქვე დადგმულია იალქნიანი ანძა, საქე და ნიჩბები. სამუშაოთა უკანასკნელ სტადიაზე მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს ქალაქ ბასრის რაიონში სხვადასხვა ობიექტებზე დასაქმებულმა საბჭოთა სპეციალისტებმა.

ტ. ჰეიერდალთან ერთად საბოგზაუროდ წავიდა სხვადასხვა ეროვნების კიდევ ათი კაცი. ეკიპაჟის წევრებს შორის არის საბჭოთა ექიმი ი. ა. სენკევიჩი, რომელიც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ფართო პროგრამას ახორციელებს.

როგორც ტ. ჰეიერდალმა განაცხადა, მოგზაურობის განსაზღვრული საბოლოო პუნქტი არა აქვთ და ნავი განაგრძობს ცურვას, სანამ გაძლებს. არაბების თქმით კი, ღერწამი, რომლისგანაც ნავია დაწნული, ერთ წელს მაინც გაძლებს.

ექსპედიცია აპირებს პირველად ბაჰრეინში გაჩერდეს.

ს. კორზელევი,
(საკადესის კორ.)



სურათზე: ღერწმის ნავი „ტიგროსი“.

წლის საუკეთესო სპორტსმენები

ტრადიციული შეკითხვით იუპის საგენტომ მიმართა სპორტულ მიმომხილველებს დაესახელებინათ წლის საუკეთესო სპორტსმენები. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ცნობილი კუბელი სპრინტერი **ალბერტო ხუანტორენა** და ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან **როზმარი აკერმანი** აღიარეს 1977 წლის საუკეთესო სპორტსმენებად.

საუკეთესოთა სიაშია სამი საბჭოთა სპორტსმენი: სიმაღლეზე მხტომელი 18 წლის **ვლადიმერ იაშენკო**, პლანეტის ყველაზე უძლიერესი შტანგისტი **ვასილ ალექსეევი** და ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯოშში **ნელი კიმი.**

საუკეთესოთა შორის არიან აგრეთვე ცნობილი პოლონელი მორბენალი, ოლიმპიური შვიდი მედლის მფლობელი ირინე შევინსკა, რუმინელი ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი, მსოფლიოს რეკორდსმენი ცურვაში კრისტინა კნაკე (გდრ), უძლიერესი ბადრის მოყიდრცელელი ჰელენა ფიბინგეროვა (ჩეხოსლოვაკია), მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ სრიალში ლიდია ფრატიანი (აშშ), ბარიერისტი, მსოფლიოს რეკორდსმენი ალეხანდრო კასანასი (კუბა), უმაღლესი ტურნირის ჩემპიონი, შუქდი ჩოგბურთელი ბერნ ბორგი, მსოფლიოს რეკორდსმენი ათ კილომეტრზე სირბილში კენიელი სამუელ კამომბეა, მსოფლიოს თასის მფლობელი სამთო-სათხილამურო სპორტში შვედი ინგემარ სტენმარკი, ამერიკელი მოცეგურაჟი ერიკ ჰეიდენი.

ფეხბურთი

დინამოელები — ჩეხოსლოვაკიაში

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი უეფას თასზე მერვედფინალის მეორე მატჩს 7 დეკემბერს გამართავს ციურიხში „გრასჰოპერსთან“. თბილისელები ამ შეხვედრისათვის ემზადებიან და ორ ამხანაგურ თამაშს — 27 და 30 ნოემბერს გამართავენ ჩეხოსლოვაკიაში.

დინამოელთა მწვრთნელებმა ნ. ახალკაცმა და ს. კუტიავაძემ ჩეხოსლოვაკიაში წაიყვანეს: მეკარეები — დ. გოგია, ო. გაბელია, მ. გაგოშიძე, მცველები — თ. კოსტავა, ფ. კანელაძე, შ. ხიხნანიშვილი, დ. მეჯარი, ნ. ხიხნანიშვილი; ნახევარმცველები — მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე, ა. ჩივაძე, ვ. დარასელია, ვ. კოპალეიშვილი; თავდამსხმელები — დ. ყიფიანი, ვ. გუცაევი, რ. შენგელია, რ. ჩელებაძე.

უცხოეთის სტადიონებზე

საბჭოთა ფეხბურთელთა გუნდები საზღვარგარეთ იმყოფებიან საერთაშორისო ამხანაგური თამაშების გასამართავად.

კასაბლანკაში მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა „რაკას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ბაჰის „ნეფტჩი“ იტალიაშია და ნეაპოლში ქვეყნის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე მყოფ „ნაპოლს“ ეთამაშა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0.

მოსკოველი არმიელები ვიეტნამში განაგრძობენ ტურნეს. ქალაქ დანანგში მოსკოველებმა ანგარიშით 5:2 მოუგეს ადგილობრივ გუნდს.

მოკლედ

ფრენბურთი. ესტონეთში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფრენბურთელთა გუნდებს შორის, პირველი ადგილი დაიკავეს ალმა-ათელები. სპორტსმენებმა, მეორე — ლენინგრადმა, თბილისის გუნდი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

ჰიდაობა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, რიგაში საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა. ტურნირის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის სამბისტთა ნაკრებ გუნდში მიიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის ხუთი მოჭიდავე ი. როსტომაშვილი, ი. მალალაშვილი, ა. ოქროპირიძე, ლ. ბოდაგელი და ა. მუზაევი.

ეკონომიკა

განთიადლები — სრული გუნდით

თბილისის სპორტის სასახლეში აკრობატიკის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება საგალდებულო პროგრამით. ეკეთა წყვილებმა თბილისელმა არმიელებმა ზურაბ ნიკოლაიშვილმა და დავით გოგოშვილმა 18,825 ქულა დააგროვეს. ისინი კიევის „ზრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებთან ვლადიმერ ვლიგუსთან და ვალერი ვინოგრადოვთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. პირველ ადგილზეა რარ ვლადიმერი — ნახაროვი და ალინოვი (19,075 ქულა, ვოლგოგრადი, „ბურევესტნიკი“).

ქალთა წყვილებში განთიადლებმა ელმირა იუსუბოვამ და ლიდია ლიტოფაროვამ საკალდებულო პროგრამით შეჯიბრებაში მეოთხე შედეგი აჩვენეს — 18,4 ქულა.

ვაჟთა ოთხეულებში განთიადლება სპორტსმენებმა — ჰამლეტ სუთიევმა, ალეკ არუთინიანმა, ვასილ თურქაევმა და გია კაკაშვილმა დღის მეექვსე შედეგი აჩვენეს — 18,575. ჯერჯერობით პირველ ადგილზე არიან კი